

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2003 წლის 24 აპრილის N 2111-III დადგენილებით

**საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური
ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს
შეთანხმება**

**ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან
დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე**

მხედველობაში იღებენ რა, რომ საქართველოს რესპუბლიკა (შემდგომში “საქართველოდ” წოდებული) არის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში “ხელშეკრულებდ” წოდებული) მონაწილე, რომელიც ხელმოსაწერად გახსნილია ლონდონში, მოსკოვსა და ვაშინგტონში 1968 წლის 1 ივლისს და ძალაში შევიდა 1970 წლის 5 მარტს:

ითვალისწინებენ რა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების III მუხლის 1 პუნქტში ნათქვამია:

“ხელშეკრულების ყოველი მონაწილე სახელმწიფო, რომელსაც არა აქვს ბირთვული იარაღი, ვალდებულია კისრულობს მიიღოს გარანტიები, როგორც ისინი ჩამოყალიბებულია შეთანხმებაში, რომლის შესახებაც იწარმოებს მოლაპარაკება და რომელიც დაიდება ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წესდებისა და სააგენტოს გარანტიების სისტემის შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი მისი ვალდებულებების შესრულების შემოწმების მიზნით, რათა არ დაუშვან მშვიდობიანი გამოყენების ბირთვული ენერჯის გარდაქმნა ბირთვულ იარაღად ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობად. მოცემულ მუხლში ჩამოყალიბებული გარანტიების პროცედურები ხორციელდება საწყისი ან სპეციალური ხელეჩადი მასალის მიმართ იმის მიუხედავად იწარმოება, მუშავდება ან გამოიყენება თუ არა იგი ნებისმიერ ძირითად ბირთვულ დანადგარში, ანდა თუ არის ნებისმიერი ასეთი დანადგარის გარეთ. მოცემული მუხლით მოთხოვნილი გარანტიები გამოიყენება ყველა საწყისი თუ სპეციალური ხელეჩადი მასალის მიმართ მთელ მსოფლიო ბირთვულ საქმიანობაში ასეთი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში მისი იურისდიქციით ან მის კონტროლს დაქვემდებარებით. სადაც უნდა იყოს ეს. ითვალისწინებენ რა, რომ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (შემდგომში “სააგენტოდ” წოდებული უფლებამოსილი თავისი წესდების III მუხლის შესაბამისად დაიდოს ასეთი შეთანხმებანი.

მოცემული შეთანხმებით საქართველო და სააგენტო შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნ ა წ ი ლ ი I

ძირითადი ვალდებულება

მ უ ხ ლ ი 1

საქართველო, ხელშეკრულების III მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ვალდებულია კისრულობს მიიღოს გარანტიები მოცემული შეთანხმების დებულებების შესაბამისად ყოველი საწყისი ან სპეციალური ხელეჩადი მასალის მიმართ მთელი მსოფლიო ბირთვულ საქმიანობაში თავისი ტერიტორიის ფარგლებში, საკუთარი იურისდიქციით ან მის კონტროლს დაქვემდებარებით, სადაც უნდა იყოს ეს, მხოლოდ და მხოლოდ იმის შემოწმების მიზნით, რომ ასეთი მასალა არ გარდაიქმნას ბირთვულ იარაღად ან სხვა ასაფეთქებელ მოწყობილობად.

მ უ ხ ლ ი 2

გარანტიების გამოყენება

სააგენტოს უფლება აქვს და ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიების გამოყენება მოცემული შეთანხმების დებულებათა შესაბამისად ყველა საწყისი ან სპეციალურად ხელეჩადი მასალის მიმართ

მთელ მსოფლიოს ბირთვულ საქმიანობაში საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, მისი იურისდიქციით ან მის კონტროლს დაქვემდებარებით, სადაც უნდა იყოს ეს, მხოლოდ და მხოლოდ იმის შემოწმების მიზნით, რომ ასეთი მასალა არ გარდაიქმნას ბირთვულ იარაღად ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობად.

მ უ ხ ლ ი 3

საქართველოსა და სააგენტოს თანამშრომლობა

საქართველო და სააგენტო თანამშრომლობენ მოცემული შეთანხმებით გათვალისწინებული გარანტიების განხორციელებისადმი ხელშეწყობის მიზნით.

მ უ ხ ლ ი 4

გარანტიების განხორციელება

მოცემული შეთანხმებით გათვალისწინებული გარანტიები ხორციელდება იმგვარად

ა) რომ თავიდან იქნას აცილებული საქართველოს ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების ან მსოფლიო ბირთვული საქმიანობისათვის მათ შორის ბირთვული მასალების საერთაშორისო გაცვლის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის დაბრკოლებების შექმნა:

ბ) რომ თავიდან იქნეს აცილებული გაუმართლებელი ჩარევა საქართველოს სამშვიდობო ბირთვულ საქმიანობაში, და კერძოდ დანადგარების ექსპლოატაციაში: და

გ) რომ შეესაბამებოდეს მართვის გონივრულ პრაქტიკას, რომელიც საჭიროა ბირთვული საქმიანობის ეკონომიკური და უსაფრთხო განხორციელებისათვის.

მ უ ხ ლ ი 5

ა) სააგენტო სიფრთხილის ყველა ზომას იღებს კომერციული და სამრეწველო სექტორების და სხვა კინფიდენციალური ინფორმაციის დაცვისათვის, რომელიც მისთვის ცნობილი ხდება მოცემული შეთანხმების განხორციელების შედეგად.

ბ) ი) სააგენტო არ აქვეყნებს და არც ერთ სახელმწიფოს ორგანიზაციას ან ცალკეულ პირს არ გადასცემს არავითარ ინფორმაციას, რომელიც მიღებული აქვს მოცემული შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ გარკვეული ინფორმაცია, რომელიც ეხება მოცემული შეთანხმების განხორციელებას, შეიძლება გადაეცეს სააგენტოს მმართველთა საბჭოს (შემდგომში "საბჭოდ" წოდებულს) და სააგენტოს იმ თანამშრომლებს, რომლებისთვისაც ამგვარი ინფორმაცია აუცილებელია გარანტიებთან დაკავშირებით მათი ოფიციალური ვალდებულებების გამო. ოღონდ ისეთი მოცულობით, რომელიც სააგენტოს სჭირდება მოცემული შეთანხმების განხორციელებისას თავისი ვალდებულებების შესრულებისათვის.

იი) განზოგადებული ინფორმაცია ბირთვული მასალის თაობაზე რომელზეც ვრცელდება გარანტიები მოცემული შეთანხმების შესაბამისად შეიძლება გამოქვეყნდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ უშუალოდ დაინტერესებული სახელმწიფოები დათანხმდებიან ამას.

მ უ ხ ლ ი 6.

ა) მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიების განხორციელებისას სააგენტო სრულად ითვალისწინებს გარანტიების სფეროში ტექნოლოგიურ მიღწევებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუწყოს ხარჯების ოპტიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფას და იმ ბირთვული მასალის ნაკადის მიმართ ეფექტიანი გარანტიების პრინციპების გამოყენებას, რომელსაც ეხება გარანტიები მოცემული შეთანხმების შესაბამისად ხელსაწყოებისა და სხვა ტექნიკური ხერხების გარკვეულ საკვანძო ადგილებში იმ დონეზე გამოყენების მეშვეობით, რომლის შესაძლებლობასაც იძლევა არსებული ან მომავალი ტექნოლოგია.

ბ) ხარჯების ოპტიმალური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მაგალითად ისეთი

საშუალებები როგორცაა:

I) შენარჩუნება როგორც აღრიცხვის მიზნით ბალანსის ზონების განსაზღვრის საშუალება.

II) სტატისტიკური მეთოდები და შემთხვევით საფუძველზე შერჩევა ბირთვული მასალის ნაკადის შეფასებისას: და

III) შემოწმების პროდუქტების თავმოყრა ხასიათდება ციკლის იმ სტადიებზე, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ბირთვული მასალის წარმოებასთან, დამუშავებასთან, გამოყენებასთან ან დაცვასთან, რომლისგანაც ადვილად შეიძლება ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის წარმოება და სხვა ბირთვული მასალის მიმართ შემოწმების პროცედურების მინიმუმამდე შემცირება იმ პირობით, რომ ეს არ გაუძნელებს სააგენტოს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიების გამოყენებას.

მ უ ხ ლ ი 7

მასალებისადმი კონტროლის ეროვნული სისტემა

ა) საქართველო ქმნის და იყენებს მთელი იმ ბირთვული მასალის აღრიცხვისა და კონტროლის სისტემას, რომელსაც ეხება გარანტიები მოცემული შეთანხმების შესაბამისად.

ბ) სააგენტო იყენებს გარანტიებს იმგვარად, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს შეამოწმოს საქართველოს ასეთი სისტემები, რათა დარწმუნდეს, რომ არ მომხდარა მშვიდობიანი მოხმარების ბირთვული მასალის არავითარი გადართვა ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების წარმოებაზე, სააგენტოს შემოწმება შეიცავს, კერძოდ, დამოუკიდებელ გაზომვასა და მეთვალყურეობას, რომლებსაც სააგენტო ახორციელებს მოცემული შეთანხმების II ნაწილში ჩამოყალიბებული პროცედურების შესაბამისად. შემოწმებისას სააგენტო სათანადოდ ითვალისწინებს საქართველოს სისტემის ტექნიკურ ეფექტიანობას.

მ უ ხ ლ ი 8.

სააგენტოსათვის ინფორმაციის გადაცემა

ა) მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველოს მოცემული შეთანხმების II ნაწილში ჩამოყალიბებული დებულებების თანახმად სააგენტოს გადასცემს იმ ბირთვულ მასალასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელზეც ვრცელდება გარანტიები მოცემული შეთანხმების შესაბამისად, აგრეთვე იმ დანადგარების მახასიათებლებს, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი მასალის გარანტიებისადმი დაქვემდებარებასთან.

ბ) ი) სააგენტო მოითხოვს მხოლოდ მინიმალური რაოდენობის ინფორმაციასა და მონაცემებს, რომლებიც შეესაბამება მოცემული შეთანხმების თანახმად მისი ვალდებულებების შესრულებას.

იი) დანადგარებთან დაკავშირებული ინფორმაცია შეადგენს იმ ბირთვული მასალების გარანტიებისადმი დაქვემდებარებისათვის საჭირო ინფორმაციის მინიმუმს, რომელზეც ვრცელდება გარანტიები მოცემული შეთანხმების შესაბამისად.

გ) საქართველოს თხოვნით სააგენტო მზადაა უშუალოდ საქართველოს დაწესებულებებში შეისწავლის ინფორმაცია კონსტრუქციის შესახებ, რომელსაც საქართველო განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნებს ასეთი ინფორმაციის გადაცემა სააგენტოსათვის საჭირო არ არის, თუ მასზე ადვილად მიუწვდება ხელი სააგენტოს საქართველოს დაწესებულებებში მისი შემდგომი შესწავლისათვის.

მ უ ხ ლ ი 9.

სააგენტოს ინსპექტორები

ა) ი) სააგენტო იღებს საქართველოს თანხმობას საქართველოს სააგენტოს ინსპექტორის დანიშვნისათვის.

იი) თუ სააგენტო ან დანიშვნის შესახებ წინადადების წარდგენის მომენტში, ან დანიშვნის შემდეგ

ნებისმიერ სხვა დროს უარს აცხადებს ასეთ დანიშვნაზე, სააგენტო საქართველოს სთავაზობს ინსპექტორების ალტერნატიულ კანდიდატურას ან კანდიდატურებს.

იი) საქართველოს არაერთგზის უარს მიიღოს სააგენტოს ინსპექტორთა დანიშვნა, რაც გააძნელებს ინსპექციის განხორციელებას მოცემული შეთანხმების შესაბამისად. საბჭო განიხილავს, როგორც კი მას წარუდგენს სააგენტოს გენერალური დირექტორი (შემდგომში “გენერალურ დირექტორად” წოდებული) იმ მიზნით, რომ საბჭომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი.

ბ) საქართველო საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს, რათა სააგენტოს ინსპექტორი უზრუნველყოს პირობებით, რომ მან ეფექტიანად შეასრულოს თავისი მოვალეობა მოცემული შეთანხმების შესაბამისად.

გ) სააგენტოს ინსპექტორთა ჩასვლა და საქმიანობა უნდა მოგვარდეს ისეთნაირად, რომ:

ი) მინიმუმამდე შემცირდეს შესაძლო სირთულეები და დაბრკოლებები საქართველოსათვის და საინსპექციო სამშვიდობო ბირთვული საქმიანობისათვის; და

იი) უზრუნველყოფილი იქნეს სამრეწველო სექტორების ან ნებისმიერი სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, რომელიც ცნობილი ხდება ინსპექტორებისათვის.

მ უ ხ ლ ი 10

პრივილეგიები და იმუნიტეტები

საქართველო ანიჭებს სააგენტოს (მათ შორის მის საკუთრებას, ფონდებსა და აქტივებს) და მის ინსპექტორებსა და სხვა თანამდებობის პირთ, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ მოცემული შეთანხმების შესაბამისად ისეთი პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს პროვილიგებისა და იმუნიტეტის შესახებ შეთანხმების შესაბამის დებულებებში.

მ უ ხ ლ ი 11

გარანტიების გამოყენების შეწყვეტა

ბირთვული მასალის ხარჯვა ან გაზავება

ბირთვული მასალის მიმართ გარანტიების გამოყენება წყდება მას მერე, რაც სააგენტო დაადგენს, რომ ეს მასალა დაიხარჯა ან გაზავდა იმგვარად, რომ იგი აღარ არის გამოსადეგი რაიმე ბირთვული საქმიანობისათვის, რომელიც გარანტიების თვალსაზრისით ინტერესს წარმოადგენს, ან პრაქტიკულად არაგენერირებადი გახდა.

მ უ ხ ლ ი 12

ბირთვული მასალის გადაცემა საქართველოდან

საქართველო წინასწარ ატყობინებს სააგენტოს საქართველოდან იმ ბირთვული მასალის სავარაუდო გადაცემის შესახებ, რომელზეც ვრცელდება გარანტიები მოცემული შეთანხმების შესაბამისად, იმ დებულებების თანახმად, რომლებიც ჩამოყალიბებულია მოცემული შეთანხმების II ნაწილში. სააგენტო წყვეტს ბირთვული მასალის მიმართ გარანტიების გამოყენებას მოცემული შეთანხმების შესაბამისად მას შემდეგ, რაც მიმღები სახელმწიფო იკისრებს მისთვის პასუხისმგებლობას, როგორც ეს გათვალისწინებულია მოცემული შეთანხმების II ნაწილით. სააგენტო ადგენს საანგარიშო დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ ყოველ გადაცემას, და სადაც ეს შესაძლებელია, გადაცემული ბირთვული მასალების მიმართ გარანტიების გამოყენების განახლებას.

მ უ ხ ლ ი 13

არაბირთვულ საქმიანობაში გამოსაყენებელ ბირთვულ

მასალასთან დაკავშირებული დებულებები

როცა მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული

მასალის გამოყენება ნავარაუდები არაბირთვული საქმიანობის ისეთ სახეობებში, როგორცაა შენადნობების ან კერამიკის წარმოება. მასალის ამგვარ გამოყენებამდე საქართველო სააგენტოს უთანხმებს გარემოებებს, რომლებშიც შეიძლება შეწყდეს ასეთი მასალის მიმართ გარანტიების გამოყენება.

მ უ ხ ლ ი 14

არასამშვიდობო ბირთვულ საქმიანობაში გამოსაყენებელი ბირთვული მასალების მიმართ გარანტიების გამოყენება.

თუ საქართველო აპირებს განახორციელოს თავისი უფლება გამოიყენოს ბირთვული მასალა, რომელიც უთუოდ უნდა დაექვემდებაროს გარანტიებს მოცემული შეთანხმების შესაბამისად, ბირთვულ საქმიანობაში, რომელიც არ მოითხოვს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიების გამოყენებას, ხორციელდება შემდეგი პროცედურები:

ა) საქართველო აცნობებს სააგენტოს ასეთი საქმიანობის შესახებ ამასთან განმარტავს:

ი) რომ აუკრძალავ სამხედრო საქმიანობაში ბირთვული მასალის გამოყენება არ ეწინააღმდეგება მხოლოდ სამშვიდობო ბირთვულ საქმიანობაში ბირთვული მასალის გამოყენების თაობაზე იმ რაიმე ვალდებულებას, რომელიც საქართველომ, შესაძლოა იკისრა და რომლის შესაბამისადაც გამოიყენება სააგენტოს გარანტიები; და

იი) რომ პერიოდში, როცა გარანტიები არ იქნება გამოყენებული, ბირთვულ მასალას არ მოიხმარენ ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული მოწყობილობების საწარმოებლად;

ბ) საქართველო და სააგენტო აღწევენ მორიგებას იმის თაობაზე, რომ მოცემული შეთანხმებით გათვალისწინებული გარანტიები არ იქნება გამოყენებული მხოლოდ მანამ, სანამ ბირთვული მასალა გამოიყენება ამგვარ საქმიანობაში. ეს მორიგება შეძლებისდაგვარად განსაზღვრავს დროის პერიოდს ან პირობებს, როცა გარანტიები არ იქნება გამოყენებული. ნებისმიერ შემთხვევაში მოცემული შეთანხმებით გათვალისწინებული გარანტიები კვლავ გამოიყენება. როგორც კი ბირთვული მასალა ბრუნდება სამშვიდობო ბირთვულ საქმიანობაში. სააგენტოს აცნობებენ საქართველოში გარანტიებს დაუქვემდებარებული ასეთი ბირთვული მასალის საერთო რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ და ასეთი მასალის ექსპორტის ყველა შემთხვევის შესახებ; და

გ) ყოველი მორიგება მიიღწევა სააგენტოს თანხმობით. ასეთი თანხმობა გაცივმა რაც შეიძლება დროულად და ეხება კერძოდ, მხოლოდ ისეთ საკითხებს, როგორცაა დროსთან და პროცედურასთან დაკავშირებული დებულებები და ანგარშეგებასთან დაკავშირებული მორიგებები, მაგრამ არ იწვევს სამხედრო საქმიანობის რაიმე მოწონებას და არ ეხება ამ სფეროში დახურულ ინფორმაციას, ანდა არ უკავშირდება ასეთ საქმიანობაში ბირთვული მასალის გამოყენებას.

მ უ ხ ლ ი 15

ფინანსური საკითხები

საქართველო და სააგენტო კისრულობენ ხარჯებს, რომლებსაც გაიღებენ მოცემული შეთანხმების შესაბამისად თავიანთი გარკვეული ვალდებულებების შესრულებისას. მაგრამ თუ საქართველო ან მის იურისდიქციაში მყოფი პირები გაიღებენ დამატებით ხარჯებს სააგენტოს განსაკუთრებული მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებით, სააგენტო ასეთ ხარჯებს ანაზღაურებს იმ პირობით, თუ იგი წინასწარ დათანხმდა ამას, ყველა შემთხვევაში სააგენტო ანაზღაურებს ინსპექტორთა მიერ მოთხოვნილი ნებისმიერ დამატებით გაზომვასთან ან სინჯის აღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მ უ ხ ლ ი 16

ბირთვული ზიანისათვის პასუხისმგებლობა მესამე მხარის წინაშე

საქართველო უზრუნველყოფს, რომ ბირთვული ზიანისათვის მესამე მხარის წინაშე პასუხისმგებლობისაგან ნებისმიერი დაცვა, მათ შორის ნებისმიერი დაზღვევა ან სხვა ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მისი კანონმდებლობის ან წესების

შესაბამისად, გამოყენებულ იქნეს სააგენტოსა და მისი თანამდებობის პირების მიმართ მოცემული შეთანხმების განხორციელების მიზნით ისეთნაირადვე, როგორც ეს დაცვა გამოიყენება საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

მ უ ხ ლ ი 17

საერთაშორისო პასუხისმგებლობა

სააგენტოსადმი საქართველოს ან საქართველოსადმი სააგენტოს ნებისმიერი იმ სარჩელის რეგულირება, რომელიც ეხება მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიების განხორციელების შედეგად წარმოქმნილ რაიმე ზარალს, გარდა ბირთვული ავარიის შედეგად მიყენებული ზარალისა, ხდება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 18

იმის შემოწმების ღონისძიებანი, რომ არ მომხდარა გადართვა

თუ გენერალური დირექტორის მოხსენების საფუძველზე საბჭო გადაწყვეტს, რომ საქართველოს მხრიდან რაიმე მოქმედება აუცილებელი და სასწრაფოა იმის შემოწმების უზრუნველსაყოფად, რომ მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალა არ გადართვება ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების წარმოებაზე საბჭოს შეუძლია საქართველოს მოუწოდოს დაუყოვნებლივ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი მოცემული შეთანხმების 22 მუხლის შესაბამისად დავის მოსაწესრიგებლად პროცედურების გამოყენების მიუხედავად.

მ უ ხ ლ ი 19

თუ გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილი შესაბამისი ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე საბჭო დაასკვნის, რომ სააგენტოს არ შეუძლია შეამოწმოს, რომ არ მომხდარა იმ ბირთვული მასალის რაიმე გადართვა, რომელიც უნდა დაქვემდებარებოდა გარანტიებს მოცემული შეთანხმების შესაბამისად, ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის წარმოებაზე, მაშინ მას შეუძლია გააკეთოს სააგენტოს წესდების (შემდგომში “წესდებად” წოდებული) XII მუხლის “გ” პუნქტით გათვალისწინებული განცხადება, აგრეთვე განახორციელოს, სადაც ეს შესაძლებელია, ამ პუნქტით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებანი. ასეთი მოქმედების განხორციელებისას, საბჭო ითვალისწინებს რწმენის დონეს, რომელსაც უზრუნველყოფს გარანტიების თაობაზე განხორციელებული ღონისძიებანი, და საქართველოს აძლევს ნებისმიერ გონივრულ შესაძლებლობას წარუდგინოს საბჭოს ნებისმიერი საჭირო მტკიცებულებანი.

მ უ ხ ლ ი 20

შეთანხმების განმარტება და გამოყენება და დავის მოწესრიგება

საქართველო და სააგენტო ერთის ან მეორის თხოვნით კონსულტაციას აწარმოებენ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც წარმოიქმნება მოცემული შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით.

მ უ ხ ლ ი 21

საქართველოს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მოცემული შეთანხმების განმარტებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი განიხილოს საბჭომ. საბჭო საქართველოს იწვევს ნებისმიერი ასეთი საკითხის განხილვაში მონაწილეობისათვის.

მ უ ხ ლ ი 22

მოცემული შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილი რაიმე დავა. გარდა იმ დავისა, რომელიც ეხება 19 მუხლის შესაბამისად საბჭოს დასკვნას ან ასეთ დასკვნასთან დაკავშირებით. საბჭოს მოქმედებას და რომელიც არ მოწესრიგდა მოლაპარაკების გზით ან საქართველოსა და სააგენტოს შორის შეთანხმებული სხვა საშუალებით. ნებისმიერი მხარის მოთხოვნით გადაეცემა საარბიტრაჟო ტრიბუნალს, შედგენილს შემდეგნაირად : საქართველო და სააგენტო ნიშნავენ თითო-თითო არბიტრს, და ამგვარად დანიშნული ორი არბიტრი ირჩევს მესამეს, რომელიც არის თავმჯდომარე. თუ არბიტრაჟის შესახებ თხოვნის მომენტიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ან საქართველო, ან სააგენტო არ დანიშნავს არბიტრს, მაშინ საქართველოს ან სააგენტოს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარეს არბიტრის დანიშვნის თხოვნით. იგივე პროცედურა გამოიყენება იმ შემთხვევაში. თუ მეორე არბიტრის დანიშვნის მომენტიდან ოცდაათი დღის განმავლობაში არ იქნება არჩეული მესამე არბიტრი. საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრთა უმრავლესობას შედაგენს კვორუმს და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ორი არბიტრის თანხმობა. საარბიტრაჟო გარჩევის პროცედურას ადგენს ტრიბუნალი. ტრიბუნალის გადაწყვეტილება სავალდებულოა საქართველოსათვის და სააგენტოსათვის.

მ უ ხ ლ ი 23

შეთანხმების შეცვლა

- ა) საქართველო და სააგენტო ერთის ან მეორის მოთხოვნით ერთმანეთთან კონსულტაციას ეწვეიან მოცემული შეთანხმების შესწორებების საკითხებზე.
- ბ) ყველა შესწორება მოითხოვს საქართველოსა და სააგენტოს თანხმობას
- გ) მოცემული შეთანხმების შესწორებები ძალაში შედის იგივე პირობებით როგორც ძალაში შედის თავად შეთანხმება.
- დ) გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს ყველა წევრს სახელმწიფოს მოცემული შეთანხმების ნებისმიერი შესწორების შესახებ.

მ უ ხ ლ ი 24

ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

მოცემული შეთანხმება ძალაში შედის იმ დღეს, როცა სააგენტო საქართველოსაგან მიიღებს წერილობით შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობით და კონსტიტუციით დადგენილი მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო მოთხოვნები შესრულებულია. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს წევრ ყველა სახელმწიფოს მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ.

მ უ ხ ლ ი 25

მოცემული შეთანხმება ძალაშია მანამ სანამ საქართველო არის ხელშეკრულების მონაწილე.

ნ ა წ ი ლ ი II შესავალი

მუხლი 26

მოცემული შეთანხმების ამ ნაწილის მიზანია იმ პროცედურების განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება I ნაწილის გარანტიების შესახებ დებულებათა განხორციელებისას.

მ უ ხ ლ ი 27.

გარანტიების მიზანი

მოცემული შეთანხმების ამ ნაწილში ჩამოყალიბებული გარანტიების პროცედურების მიზანია სამშვიდობო ბირთვული საქმიანობიდან ბირთვული მასალის მნიშვნელოვანი რაოდენობის ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის წარმოებაზე, ან სხვა მიზნებით გადართვის დროულად აღმოჩენა, აგრეთვე ადრეული აღმოჩენის რისკთან დაკავშირებული ასეთი გადართვის შეკავება.

მ უ ხ ლ ი 28.

27 მუხლში ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად გამოიყენება მასალის აღრიცხვა, როგორც გარანტიების სფეროში უპირველესი მნიშვნელობის გარანტიების ღონისძიება შენარჩუნებისა და მეთვალყურეობის ღონისძიებებთან, როგორც მნიშვნელოვან დამატებით ღონისძიებებთან ერთად.

მ უ ხ ლ ი 29.

შემოწმების მიზნით სააგენტოს საქმიანობის შესახებ ტექნიკურ დასკვნას წარმოადგენს დასკვნა, რომელიც მასალის ბალანსის ყოველი ზონის თაობაზე მიუთითებს აღურიცხავი მასალის რაოდენობას გარკვეულ პერიოდში და დაადგენს აღნიშნულ რაოდენობათა სიზუსტის ზღვარს.

მ უ ხ ლ ი 30

საქართველოს ბირთვული მასალის აღრიცხვისა და კონტროლის ეროვნული სისტემა

29 მუხლის შესაბამისად სააგენტო ახორციელებს რა შემოწმებით საქმიანობას, სრულად გამოიყენება მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ყველა ბირთვული მასალის მიმართ საქართველოს აღრიცხვისა და კონტროლის სისტემას და ეცდება არ დაუშვას აღრიცხვისა და კონტროლის მიზნით საქართველოს საქმიანობის უსარგებლო დუბლირება.

მ უ ხ ლ ი 31

მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული საქართველოს მთელი ბირთვული მასალის აღრიცხვისა და კონტროლის სისტემას საფუძვლად უდევს მასალის ბალანსი ზონების სტრუქტურა და ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში, როგორც ეს მითითებულია დამატებით დებულებებში, ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა:

ა) გაზომვის სისტემის გამოყენება იმ ბირთვული მასალის რაოდენობის დასადგენად რომელიც მიღებულია, წარმოებულა, გაგზავნილია, დაკარგულია ან რაიმენაირად ამოღებულია მასალის ინვენტარული რაოდენობიდან, აგრეთვე მასალის ინვენტარული რაოდენობის დასადგენად;

ბ) გაზომვის პრეციზიულობისა და სიზუსტის შეფასება და გაზომვაში შეცდომების შეფასება;

გ) გამგზავნისა და მიმღების გაზომვაში განსხვავების იდენტიფიკაციის, განხილვისა და შეფასების პროცედურების შემუშავება;

დ) მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის განსაზღვრის პროცედურების შემუშავება;

ე) მასალის გაუზომავი ინვენტარული რაოდენობის დაგროვებისა და გაუზომავი დანაკარგების შეფასების პროცედურების შემუშავება;

ვ) სააღრიცხვო და საანგარიშგებო დოკუმენტაციის სისტემის შექმნა, რომელიც მასალის ბალანსის ყოველი ზონისათვის მიუთითებს ბირთვული მასალის ინვენტარულ რაოდენობას და მასალის ამ ინვენტარულ რაოდენობაში ცვლილებებს, მათ შორის ბალანსის ზონაში შეტანილ მასალასა და იქიდან მის გადაცემას;

ზ) პროცედურების გამოყენებისა და აღრიცხვის ღონისძიებების სისწორის უზრუნველყოფი დებულებების შემუშავება; და

თ) 58-68 მუხლების შესაბამისად სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის პროცედურების შემუშავება.

მ უ ხ ლ ი 32

გარანტიების გამოყენების საწყისი წერტილი

მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიები მასალის მიმართ არ გამოიყენება მასალის მადნის მოპოვებისას ან დამუშავებისას.

მ უ ხ ლ ი 33

ა) თუ ხდება ურანის ან თორიუმის შემცველი რაიმე მასალის, რომელსაც არ მიუღწევია “გ” პუნქტში მითითებული ბირთვული სათბობი ციკლის სტადიისათვის. პირდაპირი ან არაპირდაპირი ექსპორტი რომელიმე სახელმწიფოში რომელსაც არა აქვს ბირთვული იარაღი საქართველოს სააგენტოს აცნობებს ასეთი მასალის რაოდენობის, მისი შემადგენლობისა და დანიშნულების შესახებ, თუ ამ მასალის ექსპორტი არ ხდება სპეციალურად არაბირთვული მიზნებისათვის:

ბ) თუ ხდება ურანისა ან თორიუმის შემცველი იმ რაიმე მასალის იმპორტი, რომელსაც არ მიუღწევია “გ” პუნქტში მითითებული ბირთვული სათბობი ციკლის სტადიისათვის, იმპორტი, საქართველო სააგენტოს აცნობებს ასეთი მასალის რაოდენობისა და მისი შემადგენლობის შესახებ, თუ ამ მასალის იმპორტი არ ხდება სპეციალურად არაბირთვული მიზნებისათვის: და

გ) თუ რაიმე ბირთვული მასალა, რომლის შემადგენლობა და სიწმინდე მას გამოსადეგს ხდის სათბობის დამზადების ან იზოტოპური გამდიდრებისათვის, ტოვებს ქარხანას, ან დამუშავების სტადიას, სადაც იგი წარმოებული იყო, ანდა თუ ასეთი ბირთვული მასალა ან რაიმე სხვა ბირთვული მასალა, წარმოებული ბირთვული სათბობი ციკლის უფრო გვიან სტადიაში, იმპორტირებულია საქართველოში, ეს ბირთვული მასალა ექვემდებარება გარანტიების სხვა იმ პროცედურების გამოყენებას, რომლებიც მითითებულია მოცემულ შეთანხმებაში.

მ უ ხ ლ ი 34

გარანტიების გამოყენების შეწყვეტა

ა) მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალისადმი გარანტიების გამოყენება წყდება 11 მუხლში ჩამოყალიბებული პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირობები არ სრულდება, მაგრამ საქართველოს მიაჩნია, რომ გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალის ამოღება ნარჩენებიდან მოცემულ მომენტში პრაქტიკულად არ არის მიზანშეწონილი ან სასურველი, საქართველო და სააგენტო ეთათბირებიან ერთმანეთს გარანტიების შესაბამისი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ბ) მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალისადმი გარანტიების გამოყენება წყდება 13 მუხლში ჩამოყალიბებული პირობებით, თუ საქართველო და სააგენტო თანხმდებიან, რომ ასეთი ბირთვული მასალა პრაქტიკულად არაგენერირებადია.

მ უ ხ ლ ი 35

გარანტიებისაგან ათავისუფლება

საქართველოს თხოვნით სააგენტო გარანტიებისაგან ათავისუფლებს შემდეგ ბირთვულ მასალას:

ა) სპეციალურ ხელჯად მასალას, როცა იგი გრამებით ან უფრო ნაკლები საზომი ერთეულით გასაზომი რაოდენობით გამოიყენება როგორც მგრძნობიარე ელემენტი საკონტროლო საზომ ხელსაწყოში.

ბ) ბირთვული მასალა, როცა იგი 13 მუხლის შეაბამისად გამოიყენება არაბირთვულ საქმიანობაში, თუ ასეთი ბირთვული მასალა რეგენერირებადია; და

გ) იზოტოპ 238-პლუტონიუმის მიხედვით 80 პროცენტზე მეტი კონცენტრაციის პლუტონიუმი.

მ უ ხ ლ ი 36

საქართველოს თხოვნით სააგენტო გარანტიებისაგან ათავისუფლებს ბირთვულ მასალას. რომელიც სხვა შემთხვევაში დაექვემდებარებოდა გარანტიებს, იმ პირობით, რომ მოცემული მუხლის შესაბამისად საქართველოში გარანტიებისაგან ათავისუფლებული ბირთვული მასალის საერთო რაოდენობა არც ერთი არ აღემატება:

ა) მთლიანად სპეციალური ხელჩადი მასალის ერთ კილოგრამს, რომელიც შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე შემდეგი მასალისაგან:

ი) პლუტონიუმი;

იი) 0.2 (20%) და მეტი გამდიდრების ურანი, რაც დაანგარიშებულია მისი მასის გამდიდრების სიდიდეზე გამრავლების გზით; და

იიი) 0.2-ზე (20%) ნაკლები გამდიდრების და ბუნებრივ ურანზე მეტი გამდიდრების ურანი, რაც დაანგარიშებულია მისი მასის გამდიდრების კვადრატზე ხუთგზის გამრავლების გზით;

ბ) მთლიანად ათ მეტრულ ტონა ბუნებრივ ურანს და 0.005-ზე (0.5%) მეტი გამდიდრების გადარიბებულ ურანს;

გ) ოც მეტრულ ტონა 0.005 (0.5%) ან ნაკლები გამდიდრების გადარიბებულ ურანს; და

დ) ოც მეტრულ ტონა თორუმს;

ან ისეთ დიდ რაოდენობას, რომლებიც შეიძლება საბჭომ დაადგინოს ერთგვაროვანი გამოყენებისათვის.

მ უ ხ ლ ი 37

თუ გარანტიებისაგან ათავისუფლებული ბირთვული მასალა უნდა დამუშავდეს ან ინახება საწყობში მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიების დაქვემდებარებულ ბირთვულ მასალასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს მისდამი გარანტიების გამოყენების განახლება.

მ უ ხ ლ ი 38

დამატებითი დებულებები

საქართველო და სააგენტო ამუშავებს დამატებით დებულებებს, რომლებიც დეტალურად მიუთითებენ ისეთი დონით, როგორც საჭიროა საამისოდ, რომ სააგენტომ შეძლოს ეფექტურად და ქმედიტად შეასრულოს მოცემული შეთანხმების შესაბამისად თავისი ვალდებულებანი. თუ როგორ უნდა გამოიყენონ მოცემულ შეთანხმებაში ჩამოყალიბებული პროცედურები. დამატებითი დებულებები შეიძლება გაფართოვდეს ან შეიცვალოს საქართველოსა და სააგენტოს შორის მორიგეობით მოცემული შეთანხმების შეუცვლელად.

მ უ ხ ლ ი 39

დამატებითი დებულებები ძალაში შედის მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლასთან ერთდროულად ან რაც შეიძლება მალე საქართველო და სააგენტო ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ისინი ამოქმედონ მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში; ამ ვადის განგრძობა შეიძლება მოხდეს საქართველოსა და სააგენტოს მორიგეობით. საქართველო დაუყოვნებლივ აწვდის სააგენტოს დამატებითი დებულებების შემუშავების დასრულებისათვის საჭირო ინფორმაციას, როგორც კი მოცემული შეთანხმების ძალაში შევა. სააგენტოს უფლება აქვს გამოიყენოს შეთანხმებაში ჩამოყალიბებული პროცედურები ბირთვული მასალისადმი, რომელიც ჩამოთვლილია 40 მუხლში მოყვანილ ინვენტარულ ნუსხაში, თუნდაც ეს დამატებითი დებულებები ჯერ არ იყოს ძალაში შესული.

მ უ ხ ლ ი 40

ინვენტარული ნუსხა

61 მუხლში ნახსენები თავდაპირველი ანგარიშის საფუძვლზე სააგენტო ადგენს საქართველოში არსებული და მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული მთელი ბირთვული მასალის ერთიან ინვენტარულ ნუსხას, მისი წარმოშობის მიუხედავად, და ადგენს ამ ინვენტარულ ნუსხას შემოწმების მიზნით თავისი საქმიანობის შემდგომი ანგარიშებისა და შედეგების საფუძველზე, ინვენტარული ნუსხის ასლებს საქართველო წარმოადგენს დროის შეთანხმებულ შუალედებში.

მ უ ხ ლ ი 41

ინფორმაცია კონსტრუქციის შესახებ
საერთო დებულებები

8 მუხლის შესაბამისად ინფორმაცია არსებული დანადგარების კონსტრუქციის შესახებ გადაეცემა სააგენტოს დამატებითი დებულებების განხილვისას. დამატებით დებულებებში დადგენილია ახალი დანადგარების კონსტრუქციის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ზღვრული ვადები და ასეთი ინფორმაცია გადაეცემა რაც შეიძლება მალე ახალ დანადგარში ბირთვული მასალის შეტანამდე.

მ უ ხ ლ ი 42

სააგენტოსათვის წარსადგენი ინფორმაცია კონსტრუქციების შესახებ შეიცავს ყოველი დანადგარის მიმართ, როცა ეს შესაძლებელია:

- ა) დანადგარის იდენტიფიკაციას მისი საერთო მახასიათებლების დანიშნულების ნორმალური სამალავისა და გეოგრაფიული მდებარეობის, აგრეთვე სახელწოდებასა და მისამართის მითითებით, რომლებიც გამოიყენება ჩვეულებრივი საქმიანი მიზნებით
- ბ) დანადგარის საერთო განლაგების აღწერას, შეძლებისდაგვარად, ბირთვული მასალის ფორმების, ადგილმდებარეობისა და ნაკადის და იმ მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილების საერთო შედგენილობის მითითებით რომელზეც გამოიყენება, იწარმოება ან მუშავდება ბირთვული მასალა;
- გ) მასალის აღრიცხვასთან, შენარჩუნებასა და მისდამი მეთვალყურეობასთან დაკავშირებული დანადგარის მახასიათებლების აღწერას; და
- დ) ბირთვული მასალის აღრიცხვისა და კონტროლოს დანადგარზე გამოსაყენებელი და სავარაუდო პროცედურების აღწერას, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ოპერატორის მიერ დადგენილი მასალის ბალანსის ზონებს, მასალის ნაკადის გაზომვას და მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის განსაზღვრის პროცედურებს.

მ უ ხ ლ ი 43

სააგენტოს აგრეთვე მიეწოდება სხვა ინფორმაცია ყოველი იმ დანადგარის თაობაზე რომელიც უკავშირდება გარანტიების გამოყენებას, კერძოდ, ინფორმაცია მასალის აღრიცხვისა და კონტროლისათვის ორგანიზაციული პასუხისმგებლობის თაობაზე. საქართველო სააგენტოს აწვდის დამატებით ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესახებ, რომლებიც უნდა დაიცვას სააგენტომ და რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ინსპექტორებმა დანადგარზე მუშაობისას.

მ უ ხ ლ ი 44

სააგენტოს განსახილველად მიეწოდება ინფორმაცია გარანტიის მიზნებთან დაკავშირებული კონსტრუქციის შეცვლის შესახებ და მას უნდა აცნობონ ყოველი ცვლილება ინფორმაციაში, რომელიც მას მიეწოდება 43 მუხლის შესაბამისად. საკმარისად დროულად, რათა საჭიროების შემთხვევაში გარანტიების გამოყენების პროცედურებში შეიტანონ შესაბამისი დაზუსტებანი.

მ უ ხ ლ ი 45

კონსტრუქციების შესახებ ინფორმაციის განხილვის მიზნები

სააგენტოსათვის კონსტრუქციების შესახებ მიწოდებული ინფორმაცია გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

ა) ბირთვული მასალებისადმი გარანტიების გამოყენებასთან დაკავშირებული დანადგარებისა და ბირთვული მასალის მახასიათებლების იდენტიფიკაციისათვის საკმარისად დეტალურად, რათა გადაადგილდეს შემოწმება;

ბ) სააგენტოს მიერ აღრიცხვის გამოსაყენებლად მასალის ბალანსის ზონების განსაზღვრისათვის და ისეთი საკვანძო ადგილების შერჩევისათვის, რომლებიც არის გაზომვის საკვანძო წერტილები და რომლებიც გამოყენებული იქნება ბირთვული მასალის ნაკადისა და ინვენტარული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით: მასალების ბალანსის ასეთი ზონების განსაზღვრისას სააგენტო. კერძოდ, იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ი) მასალების ბალანსის ზონის სიდიდე დამოკიდებულია იმ სიზუსტეზე, რომლითაც შეიძლება დადგინდეს მასალის ბალანსი;

იი) მასალის ბალანსის ზონის განზღვრისას გამოიყენება ნებისმიერი შესაძლებლობა შენარჩუნებისა და მეთვალყურეობის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მასალის ნაკადის სრული გაზომვა და ამით გამარტივდეს გარანტიების გამოყენება და უმთავრესი ძალისხმევა მოხმარდეს გაზომვის საკვანძო წერტილებში გაზომვას;

იიი) დანადგარზე ან ცალკეული მოედნებზე გამოყენებული მასალის ბალანსის რამდენიმე ზონა შეიძლება გაერთიანდეს სააგენტოს მიერ აღრიცხვის მიზნით გამოსაყენებელი მასალის ბალანსის ერთ ზონად, როცა სააგენტო განსაზღვრავს, რომ ეს შეესაბამება შემოწმების მიზნით მის მოთხოვნებს; და

ივ) საქართველოს თხოვნით შეიძლება შეიქმნას მასალის ბალანსის სპეციალური ზონა იმ პროცესის რომელიმე სტადიის ფარგლებში, რომელიც ეხება კომერციული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას;

ვ) სააგენტოს მიერ აღრიცხვის მიზნით ნორმალური გრაფიკის და ბირთვული მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის განსაზღვრის პროცედურების დადგენისათვის;

დ) სააღრიცხვო დოკუმენტებისა და ანგარიშებისადმი მოთხოვნების და სააღრიცხვო დოკუმენტების შეფასების პროცედურების დადგენისათვის;

ე) ბირთვული მასალის რაოდენობისა და განლაგების შემოწმების მოთხოვნებისა და პროცედურების დადგენისათვის; და

ვ) შენარჩუნებისა და მეთვალყურეობის მეთოდებისა და ხერხების შესაბამისი შეხამების, აგრეთვე იმ საკვანძო ადგილების შერჩევისათვის, სადაც მათ გამოიყენებენ.

კონსტრუქციების შესახებ ინფორმაციის განხილვის შედეგები უნდა შევიდეს დამატებით დებულებებში.

მ უ ხ ლ ი 46

კონსტრუქციის შესახებ ინფორმაციის ხელახალი განხილვა

კონსტრუქციის შესახებ ინფორმაცია უნდა გადაისინჯოს ექსპლოატაციის პირობების შეცვლის გარანტიების ტექნოლოგიის შემუშავების ან შემოწმების პროცედურების გამოყენების თვალსაზრისით. იმ ღონისძიებათა მოდოფიკაციის მიზნით, რომლებსაც სააგენტო იყენებს 43 მუხლის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 47

კონსტრუქციის შესახებ ინფორმაციის შემოწმება

საქართველოსთან თანამშრომლობით სააგენტოს შეუძლია ინსპექტორები გაგზავნოს დანადგარებზე კონსტრუქციის შესახებ ინფორმაციის შემოწმებისათვის, რომელიც სააგენტოს მიეწოდება 41-44

მუხლების შესაბამისად 45 მუხლში ჩამოყალიბებული მიზნებისათვის.

მ უ ხ ლ ი 48

ინფორმაცია დანადგარის გარეთ არსებული ბირთვული მასალის შესახებ

სააგენტოს უნდა წარუდგინონ ჩვეულებრივი დანადგარის გარეთ გამოსაყენებელ ბირთვულ მასალასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია, როცა ეს შესაძლებელია:

- ა) ბირთვული მასალის გამოყენების ზოგადი აღწერილობა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, სახელწოდება და მისამართი, რომლებიც გამოიყენება ჩვეულებრივი საქმიანი მიზნებისათვის; და
- ბ) ბირთვული მასალის აღრიცხვისა და კონტროლის არსებული და სავარაუდო პროცედურების ზოგადი აღწერილობა, მათ შორის ორგანიზაციული პასუხისმგებლობა მასალის აღრიცხვისა და კონტროლისათვის.

სააგენტოს დროულად უნდა აცნობონ ყოველგვარი ცვლილება იმ ინფორმაციაში, რომელიც მას მიეწოდება მოცემული მუხლის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 49

48 მუხლის შესაბამისად სააგენტოსათვის წარდგენილი ინფორმაცია შეიძლება საჭიროებისამებრ გამოყენებული იყოს 45 მუხლის “ბ”- “ვ” ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული მიზნებისათვის.

მ უ ხ ლ ი 50.

სააღრიცხვო დოკუმენტების სისტემა
ზოგადი დებულებები

7 მუხლში ნახსენები მასალებისადმი კონტროლის ეროვნული სისტემის შექმნისას საქართველო უზრუნველყოფს მასალების ბალანსის ყოველი ზონის შესახებ სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოებას. დამატებით დებულებებში მოცემულია საწარმოებელი სააღრიცხვო დოკუმენტების აღწერილობა.

მ უ ხ ლ ი 51.

საქართველო ახორციელებს ღონისძიებებს ინსპექტორთა მიერ სააღრიცხვო დოკუმენტების განხილვის გასაადვილებლად მიზნით. განსაკუთრებით თუ ისინი წარმოებულია არა ინგლისურ, ესპანურ, რუსული და ფრანგულ ენაზე.

მ უ ხ ლ ი 52

სააღრიცხვო დოკუმენტები ინახება სულ ცოტა ხუთი წლის განმავლობაში.

მ უ ხ ლ ი 53

სააღრიცხვო დოკუმენტები აუცილებლობის შემთხვევაში, მოიცავს:

- ა) მატერიალურ-საბალანსო სააღრიცხვო დოკუმენტებს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ყველა ბირთვული მასალის შესახებ; და
- ბ) ასეთი ბირთვული მასალების შემცველი დანადგარებისათვის საექსპლოატაციო სააღრიცხვო დოკუმენტებს.

მ უ ხ ლ ი 54

აზომვის სისტემა, რომელსაც ეფუძნება ანგარიშების მომზადებისას გამოსაყენებელი სააღრიცხვო

დოკუმენტებს ან შეესაბამება უახლეს საერთაშორისო ნორმებს, ან ხარისხით ასეთი ნორმების ეკვივალენტურია.

მ უ ხ ლ ი 55

მატერიალურ-საბალანსო სააღრიცხვო დოკუმენტები

მატერიალურ-საბალანსო სააღრიცხვო დოკუმენტები მასალის ბალანსის ყოველი ზონის მიმართ შეიცავს შემდეგს:

ა) მასალის ინვენტარული რაოდენობის ყველა ცვლილებას, იმისათვის, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს მასალის რეგისტრირებული რაოდენობის განსაზღვრა;

ბ) გაზომვის ყველა შედეგს, რომელიც გამოიყენება მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის განსაზღვრისათვის; და

გ) ყველა დაზუსტებასა და შესწორებას, რომლებიც გაკეთდა იმ მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებების მიმართ, რომელიც რეგისტრირებულია მასალის ინვენტარულ რაოდენობაში და ფაქტობრივად მასალის არსებულ რაოდენობაში.

მ უ ხ ლ ი 56

მასალის რაოდენობისა და მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის ყველა ცვლილება აისახება სააღრიცხვო დოკუმენტებში ბირთვული მასალის ყოველი პარტიის მიმართ. მასალის იდენტიფიკაცია. პარტიის მონაცემები და საწყისი მონაცემები, სააღრიცხვო დოკუმენტები იწარმოება ცალ-ცალკე ურანისათვის, თორიუმისა და პლუტონიუმისათვის, რომლებსაც შეიცავს ბირთვული მასალის ყოველი პარტია, მასალის საინვენტარო რაოდენობის ყოველი ცვლილებისათვის მითითებულია მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილების თარიღი და საჭიროების შემთხვევაში, მასალების ბალანსის გამგზავნი ზონა და მასალების ბალანსის შემდეგი ზონა ან მიმღები.

მ უ ხ ლ ი 57.

საექსპლუატაციო სააღრიცხვო დოკუმენტები

ბალანსის ყოველი ზონის მიხედვით საექსპლუატაციო სააღრიცხვო დოკუმენტები საჭიროებისამებრ შეიცავს:

ა) იმ საექსპლუატაციო მონაცემების, რომლებიც გამოიყენება ბირთვული მასალის რაოდენობასა და შემადგენლობაში ცვლილებების განსაზღვრისათვის;

ბ) ავზებისა და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების დაკალიბრების, სინჯების აღებისა და ანალიზების, შემთხვევითი და სისტემატური შეცდომების გაზომვისა და შეფასებების ხარისხის საკონტროლო პროცედურების განხორციელების შედეგად მიღებული მონაცემები;

გ) მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის მომზადებისა და განსაზღვრისას განხორციელებული მოქმედების თანმიმდევრობის აღწერა ასეთი განსაზღვრის სისწორისა და სრულფასოვნების უზრუნველყოფის მიზნით; და

დ) იმ მოქმედების აღწერა, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი ავარიული თუ გაუზომავი დანაკარგის მიზეზისა და ოდენობის დადგენისათვის, რომელიც შეიძლება მომხდარიყო.

მ უ ხ ლ ი 58.

ანგარიშების სისტემა

ზოგადი დებულებანი

საქართველო სააგენტოს წარუდგენს ანგარიშებს, როგორც ეს დაწვრილებით ჩამოყალიბებულია 59-68 მუხლებში, მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალის თაობაზე.

მ უ ხ ლ ი 59.

ანგარიშები დგება ინგლისურ, ესპანურ, რუსულ ან ფრანგულ ენებზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა დამატებით დებულებებში სხვა რამ არის დათქმული.

მ უ ხ ლ ი 60

ანგარიშები ემყარება 50-57 მუხლების შესაბამისად შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტების და საჭიროების შემთხვევაში შედგება სააღრიცხვო ანგარიშებისა და სპეციალური ანგარიშებისაგან.

სააღრიცხვო ანგარიშები

მ უ ხ ლ ი 61

სააგენტოს გადაეცემა თავდაპირველი ანგარიში მთელი ბირთვული მასალის შესახებ, რომელზეც ვრცელდება გარანტიები მოცემული შეთანხმების შესაბამისად. საქართველო თავდაპირველ ანგარიშს სააგენტოს წარუდგენს 30 დღის ვადაში, რომელიც აღირიცხება იმ კალენდარული თვის ბოლო დღიდან როცა მოცემული შეთანხმება ძალაში შევიდა და იგი ასახავს ამ თვის ბოლო დღეს არსებულ მდგომარეობას.

მ უ ხ ლ ი 62

საქართველო სააგენტოს წარუდგენს შემდეგ სააღრიცხვო ანგარიშებს მასალის ბალანსის ყოველი ზონის მიხედვით:

ა) ანგარიშები მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებების შესახებ, რომლებიც ასახავს მასალის ინვენტარული რაოდენობაში ყველა ცვლილებას, ეს ანგარიშები უნდა გაიგზავნოს რაც შეიძლება სწრაფად და ყველა შემთხვევაში იმ თვის გასვლიდან 30დღის ვადაში, როცა მოხდა ან დადგინდა მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებები; და

ბ) მატერიალურ-საბალანსო ანგარიშები, რომლებიც ასახავს მასალის ბალანსის ზონაში ნამდვილად არსებული ბირთვული მასალის ფაქტობრივად არსებულ რაოდენობაზე დამყარებულ მატერიალურ ბალანსს. ეს ანგარიშები უნდა გაიგზავნოს რაც შეიძლება სწრაფად და ყველა შემთხვევაში ოცდაათი დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც დასრულდება მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის განსაზღვრა.

ეს ანგარიშები ემყარება ანგარიშის შედგენის მომენტში არსებულ მონაცემებს და შემდეგ შეიძლება შესწორდეს თუ ეს საჭირო გახდა.

მ უ ხ ლ ი 63

მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებების შესახებ ანგარიშებში მოცემული მასალის იდენტიფიკაცია და ბირთვული მასალის ყოველი პარტიისათვის. პარტიის მონაცემები, მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებების თარიღი და საჭიროების შემთხვევაში, მასალის ბალანსის გამგზავნი ზონა და მასალის ბალანსის მიმღები ზონა ან მიმღები. ამ ანგარიშებს თან ერთვის მოკლე შენიშვნები:

ა) რომლებიც განმარტავს 37 მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად წარდგენილ საექსპლოატაციო სააღრიცხვო დოკუმენტებში შეტანილ ექსპლოატაციის მონაცემების საფუძველზე მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებებს; და

ბ) რომლებშიც აღწერილია როგორც ეს დადგენილია დამატებით დებულებებში სავარაუდო საექსპლოატაციო პროგრამით, კერძოდ განსაზღვრულია მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობა.

მ უ ხ ლ ი 64.

საქართველო აცნობებს მასალის ინვენტარული რაოდენობის ყოველ ცვლილების დაზუსტებას და შესწორების შესახებ ან პერიოდულად კრებსითი სესხის სახით. ანდა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებების შესახებ მონაცემები მოყვანილია პარტიების მიხედვით. როგორც ეს დამატებით დებულებებშია განსაზღვრული ბირთვული მასალის ინვენტარულ რაოდენობაში მცირედი ცვლილებები კერძოდ, როგორცაა, ანალიზური სინჯების გადაცემა, შეიძლება გაერთიანდეს ერთ პარტიად და მათ შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარადგინონ როგორც მასალის ინვენტარული რაოდენობის ერთი ცვლილების შესახებ.

მ უ ხ ლ ი 65.

სააგენტო ყოველი ნახევარ წელიწადში აცნობებს საქართველოს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალის რეგისტრირებული ინვენტარული რაოდენობის შესახებ მასალის ბალანსის ყოველი ზონისათვის მასალის ინვენტარული რაოდენობის ცვლილებების შესახებ ანგარიშების საფუძველზე იმ პერიოდისთვის, რომელსაც მოიცავს ყოველი ასეთი ინფორმაცია.

მ უ ხ ლ ი 66

თუ საქართველოსა და სააგენტოს შორის არ იქნება მიღწეული სხვაგვარი მორიგება, მატერიალურ-საბალანსო ანგარიშები მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- ა) მასალის საწყისი ფაქტობრივად არსებული რაოდენობა;
- ბ) მასალის ინვენტარული რაოდენობის შეცვლა (ჯერ მომატება, შემდეგ შემცირება);
- გ) მასალის საბოლოო რეგისტრირებული ინვენტარული რაოდენობა;
- დ) განსხვავება გამგზავნისა და მიმღების მონაცემებში;
- ე) მასალის კორექტირებული საბოლოო რეგისტრირებული ინვენტარული რაოდენობა;
- ვ) მასალის საბოლოო ფაქტობრივად არსებული რაოდენობა; და
- ზ) აღურიცხავი მასალის სიდიდე.

მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ცალ-ცალკე ყველა პარტიის ჩამოთვლით და მასალის იდენტიფიკაციისა და ყოველი პარტიის მიხედვით პარტიის მონაცემების მითითებით თან ერთვის ყოველ მატერიალურ-საბალანსო ანგარიშს.

მ უ ხ ლ ი 67.

სპეციალური ანგარიშები

საქართველო შეუფერებლად წარადგენს სპეციალურ ანგარიშებს:

- ა) ყოველი იმ უჩვეულო ინციდენტის ან გარემოების შემთხვევაში რომელიც საქართველოს აიძულებს მიიჩნიოს, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდარიყო ბირთვული მასალის დაკარგვა იმ ზღვარის გადამეტებით, რომელიც დადგენილია ამ მიზნებისათვის დამატებით დებულებებში; ან
- ბ) იმ შემთხვევაში თუ შენარჩუნების პირობები მოულოდნელად შეიცვალა დამატებით დებულებებში მითითებულ პირობებთან შედარებით ისეთნაირად, რომ შესაძლებელი ხდება ბირთვული მასალის არასანქცირებული ამოღება.

მ უ ხ ლ ი 68.

ანგარიშების დამატებები და განმარტებები

სააგენტოს თხოვნით საქართველო სააგენტოს აცნობებს ყოველი ანგარიშის დამატებებს ისეთნაირად, როგორც ეს ეხება გარანტიის მიზნებს:

მ უ ხ ლ ი 69.
ინ ს პ ე ქ ც ი ე ბ ი

ზოგადი დებულებანი

სააგენტოს უფლება აქვს მოაწყოს ინსპექციები, როგორც ეს გათვალისწინებულია 70-81 მუხლებით.

მ უ ხ ლ ი 70.
ინსპექციების მიზნები

სააგენტოს შეუძლია მოაწყოს ინსპექციები სპეციალური მიზნებით, რათა:

- ა) შეამოწმოს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალის შესახებ თავდაპირველ ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია;
- ბ) მოახდინოს იდენტიფიცირება და შეამოწმოს ცვლილებები ვითარებაში, რომლებიც მოხდა თავდაპირველი ანგარიშის წარდგენის დღიდან; და
- გ) მოახდინოს იდენტიფიცირება, და თუ ეს შესაძლებელია, შეამოწმოს ბირთვული მასალის რაოდენობა და შემადგენლობა 92 და 95 მუხლების შესაბამისად საქართველოდან, მის გადაცემამდე და საქართველოსათვის მისი გადაცემის შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 71.

სააგენტოს შეუძლია მოაწყოს ჩვეულებრივი ინსპექციები, რათა:

- ა) შეამოწმოს საადრიცხო დოკუმენტებთან ანგარიშების შესაბამისობა;
- ბ) შეამოწმოს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული მთელი ბირთვული მასალის ადგილმდებარეობა, იდენტურობა, რაოდენობა და შემადგენლობა; და
- გ) შეამოწმოს ინფორმაცია გაუთვალისწინებელი მასალის არსებობის შესაძლო მიზნებისა და მიმღბის მონაცემებში განსხვავების და მასალის რეგისტრირებულ ინვენტარული რაოდენობაში გაურკვევლობის შესახებ.

მ უ ხ ლ ი 72.

76 მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვის შემთხვევაში სააგენტოს შეუძლია მოაწყოს სპეციალური ინსპექციები:

- ა) სპეციალურ ანგარიშებში მოყვანილი ინფორმაციის შემოწმების მიზნით; ან
- ბ) თუ სააგენტოს მიაჩნია რომ საქართველოს მიერ წარდგენილი ინფორმაცია, მათ შორის საქართველოს განმარტებები და ჩვეულებრივი ინსპექციების მოწყობის შედეგად მიღებული ინფორმაცია არასაკმარისია საიმისოდ, რომ სააგენტომ შეასრულოს თავისი ვალდებულებანი მოცემული შეთანხმების შესაბამისად.

ინსპექცია სპეციალურად ითვლება, როცა იგი ან დამატებით ერთვის 77-81 მუხლებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი ინსპექციების განხორციელებას, ანდა ითვალისწინებს ინფორმაციის ან ადგილების ხელმისაწვდომობას, გარდა 75 მუხლით მითითებული ხელმისაწვდომობისა, სპეციალური მიზნებით მოწყობილი ინსპექციების და ჩვეულებრივი ინსპექციებისათვის, ან მოიცავს ორივე შემთხვევას.

მუხლი 73
ინსპექციების მოცულობა

70-72 მუხლებში მითითებული მიზნებისათვის სააგენტოს შეუძლია:

- ა) შეისწავლოს 50-57 მუხლების შესაბამისად წარმოებული საადრიცხო დოკუმენტები;
- ბ) მოაწყოს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული მთელი ბირთვული

მასალის დამოუკიდებელი გაზომვა;

გ) შეამოწმოს ხელსაწყოებისა და სხვა საკონტროლო-საზომი მოწყობილობის ფუნქციონირება და დაკალიბრება;

დ) გამოიყენოს მეთვალყურეობისა და შენარჩუნების ღონისძიებანი; და

ე) გამოიყენოს სხვა ობიექტური მეთოდები, რომელთა ტექნიკური გამოსადეგობა თვალსაჩინოა.

მ უ ხ ლ ი 74.

73 მუხლის ფარგლებში სააგენტოს შესაძლებლობა აქვს:

ა) თვალყური გაადევნოს, რომ მატერიალურ-საბალანსო აღრიცხვისათვის გაზომვის საკვანძო წერტილებში სინჯების შერჩევა ხდებოდეს იმ პროცედურების შესაბამისად, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა თვალყური ადევნონ სინჯების დამუშავებასა და ანალიზს და მიიღონ ასეთი სინჯების დუბლიკატები.

ბ) თვალყური ადევნონ, რომ მატერიალურ-საბალანსო აღრიცხვისათვის გაზომვის საკვანძო წერტილებში ბირთვული მასალის გაზომვა იყოს წარმომადგენლობითი და თვალყური ადევნონ შესაბამისი ხელსაწყოებისა და მოწყობილობის დაკალიბრებას:

გ) შეუთანხმდნენ საქართველოს, რომ საჭიროების შემთხვევაში

ი) შეასრულდეს დამატებითი გაზომვა და შეირჩეს დამატებითი სინჯები სააგენტოს სარგებლობისათვის;

იი) შესრულდეს სააგენტოს სტანდარტული ანალიტიკური სინჯების ანალიზი

იიი) გამოიყენონ შესაბამისი აბსოლუტური სტანდარტები ხელსაწყოებისა და სხვა მოწყობილობების დაკალიბრებისას; და

ივ) მოხდეს სხვა დაკალიბრება;

დ) მოაგვარონ საკუთარი მოწყობილობის გამოყენება დამოუკიდებელი გაზომვისა და მეთვალყურეობისათვის და, თუ ეს შეთანხმებულია და განსაზღვრულია დამატებით დებულებაში. მოაგვარონ ასეთი მოწყობილობის დადგმა;

ე) გამოიყენონ თავიანთი ბეჭედები და სხვა საინდენტიფიკაციო და ჩარევის მიმანიშნებელი მოწყობილობა მასალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, თუ ეს შეთანხმებულია და მითითებულია დამატებით დებულებებში; და

ვ) შეუთანხმდნენ საქართველოს სააგენტოს სარგებლობისათვის შერჩეული სინჯების გაგზავნის თაობაზე.

მ უ ხ ლ ი 75

საინსპექციო ადგილების ხელმისაწვდომობა

ა) 70 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტებში მითითებული მიზნებისათვის და მანამ, სანამ დამატებით დებულებებში არ განისაზღვრება საკვანძო ადგილები, სააგენტოს ინსპექტორებს შეუძლიათ მისვლა ნებისმიერ ადგილას, სადაც თავდაპირველი ანგარიშის ან ამასთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ინსპექციის მონაცემებით არის ბირთვული მასალა.

ბ) 70 მუხლის “გ” პუნქტში მითითებული მიზნებისათვის ინსპექტორებს შეუძლიათ მისვლა ნებისმიერ ადგილას, რომლის შესახებაც სააგენტოს აცნობეს 91 მუხლის “დ” იი) პუნქტის ან 94 მუხლის “დ” იი) პუნქტის შესაბამისად.

გ) 71 მუხლში მითითებული მიზნებისათვის ინსპექტორებს შეუძლიათ მისვლა მხოლოდ დამატებით დებულებებში მითითებულ საკვანძო ადგილებში და ხელი მიუწვდებათ 5-57 მუხლების შესაბამისად წარმოებულ სააღრიცხვო დოკუმენტებზე:

დ) თუ საქართველო დაასკვნის, რომ რაიმე უჩვეულო გარემოება მოითხოვს სააგენტოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვების გაფართოებას, საქართველო და სააგენტო დაუყოვნებლივ მორიგდებიან, რათა სააგენტოს მიეცეს შესაძლებლობა განახორციელოს თავისი ვალდებულებანი გარანტიებთან დაკავშირებით ამ შეზღუდვების შესაბამისად. გენერალური დირექტორი საბჭოს

აცნობებს ყოველი ასეთი მორიგების შესახებ.

მ უ ხ ლ ი 76.

პირობებში, რომლებმაც შეიძლება მოითხოვოს 72 მუხლში მითითებული მიზნებისათვის სპეციალური ინსპექციები საქართველო და სააგენტო დაუყოვნებლივ აწარმოებენ ერთმანეთთან კონსულტაციას. ასეთი კონსულტაციის შედეგად სააგენტოს შეუძლია:

ა) მოაწყოს ინსპექციები 77-81 მუხლებში გათვალისწინებული ჩვეულებრივი ინსპექციების დამატებით: და

ბ) საქართველოსთან მორიგებით ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე ან შეეძლოს ადგილებზე მისვლა იმის დამატებით, რაც მითითებულია 75 მუხლში. დამატებითი ხელმისაწვდომობის აუცილებლობასთან დაკავშირებით ყოველი უთანხმოება უნდა გადაიჭრას 21 და 22 მუხლების შესაბამისად: თუ საქართველოს მხრიდან რაიმე მოქმედება საჭიროა და სასწრაფო, გამოიყენება 18 მუხლი.

მ უ ხ ლ ი 77.

ჩვეულებრივი ინსპექციების სიხშირე და ინტენსივობა

ოპტიმალური გრაფიკის გამოყენებით სააგენტო მინიმუმამდე ამცირებს ჩვეულებრივი ინსპექციების რაოდენობას. ინტენსივობასა და ხანგრძლივობას, მოცემულ შეთანხმებაში ჩამოყალიბებული გარანტიების პროცედურების ეფექტიან განხორციელებასთან ერთად და ოპტიმალურად და რაც შეიძლება ეკონომიურად იყენებს მის განკარგულებაში არსებულ საინსპექციო რესურსებს.

მ უ ხ ლ ი 78.

სააგენტოს შეუძლია წელიწადში ერთი ჩვეულებრივი ინსპექცია მოაწყოს არა უმეტეს ხუთი ეფექტიანი კილოგრამი ბირთვული მასალის შემცველობის ან წლიური მწარმოებლობის დანადგარებისა და დანადგარების გარეთ მასალების ბალანსის ზონების მიმართ- იმის მიხედვით, რა უფრო მეტია.

მ უ ხ ლ ი 79.

ხუთ ეფექტიან კილოგრამზე მეტი ბირთვული მასალის შემცველობის ან წლიური მწარმოებლობის დანადგარების მიმართ ჩვეულებრივი ინსპექციების რაოდენობა, ინტენსივობა, ხანგრძლივობა, გრაფიკი და სახეობა განისაზღვრება იმის საფუძველზე, რომ მაქსიმალურ ან ზღვრულ შემთხვევაში საინსპექციო რეჟიმი არ უნდა იყოს იმაზე ინტენსიური, ვიდრე ეს საჭიროა და საკმარისია საიმისოდ, რომ განუწყვეტლივ იქონიონ ცნობები ბირთვული მასალის ნაკადისა და ინვენტარული რაოდენობის შესახებ. და ასეთი დანადგარების მიმართ ჩვეულებრივი ინსპექციების მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) რეაქტორებისა და დალუქული საწყობების ჩვეულებრივი ინსპექციების საერთოდ მაქსიმალური მოცულობა წელიწადში დგინდება ყოველი ასეთი დანადგარისათვის ინსპექციის მეექვსედი კაც-წლის ფარგლებში:

ბ) დანადგარებისათვის რეაქტორების ან დალუქული საწყობების გარდა, რომლებიც დაკავშირებულია 5 პროცენტზე მეტი გამდიდრების პლუტონიუმთან ან ურანთან. წელიწადში ჩვეულებრივი ინსპექციების საერთო მაქსიმალური მოცულობა ყოველი ასეთი დანადგარისათვის დგინდება წელიწადში 30 X E ინსპექციის კაც-დღის ფარგლებში, სადაც E არის ბირთვული მასალის ინვენტარული რაოდენობა ან დანადგარის წლიური მწარმოებლობა-იმის მიხედვით. რა უფრო მეტია-ეფექტიან კილოგრამებით ყოველი ასეთი დანადგარისათვის დადგენილი მაქსიმუმი არ უნდა იყოს ინსპექციის 15? კაც-წელზე ნაკლები: და

გ) დანადგარებისათვის, რომლებსაც არ ეხება მოცემული მუხლის "ა" და "ბ" პუნქტები, წელიწადში

ჩვეულებრივი ინსპექციების საერთო მაქსიმალური მოცულობა დგინდება ყოველი ასეთი დანადგარისათვის ინსპექციის მესამედი კაც-წლის ფარგლებში პლუს წელიწადში 04 X E ინსპექციის კაც-დღე, სადაც E ბირთვული მასალის ინვენტარული რაოდენობა ან დანადგარის წლიური მწარმოებლობა - იმის მიხედვით, რა უფრო მეტია - ეფექტიან კილოგრამებში.

საქართველო და სააგენტო შეიძლება შეთანხმდნენ მოცემულ მუხლში მითითებული ინსპექციების მაქსიმალურ მოცულობასთან დაკავშირებული ციფრების შეცვლის შესახებ, თუ საბჭო განსაზღვრავს, რომ ასეთი ცვლილება საფუძვლიანია.

მ უ ხ ლ ი 80.

77-79 მუხლების დაცვის შემთხვევაში ყოველ დანადგარზე ჩვეულებრივი ინსპექციების ფაქტობრივი რაოდენობის, ინტენსიურობის, ხანგრძლივობის, გრაფიკისა და სახეობის განსაზღვრისათვის გამოყენებული კრიტერიუმები შეიცავს:

ა) ბირთვული მასალის ფორმას, კერძოდ, არის თუ არა ბირთვული მასალა ბალკ-ფორმაში თუ მას შეიცავს მთელი რიგი ცალკეული საგნები; მისი ქიმიური შემადგენლობა, ურანთან დაკავშირებით კი – დაბალი თუ მაღალი გამდიდრებისა; და მისი ხელმისაწვდომობა;

ბ) საქართველოს აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის ეფექტიანობას, მათ შორის ხარისხს, თუ რამდენად დამოუკიდებლები არიან დანადგარების ოპერატორები ფუნქციური თვალსაზრისით საქართველოს აღრიცხვისა და კონტროლის სისტემისაგან; ხარისხს, რომლითაც საქართველომ განახორციელა 31 მუხლში მითითებული ღონისძიებანი; სააგენტოს მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი შემოწმების შედეგად მათ შესაბამისობას: სააგენტოს მიერ შესამოწმებელი აღრიცხვა მასალის რაოდენობის განსაზღვრის სიდიდეს და სიზუსტეს;

გ) საქართველოს ბირთვული სათბობი ციკლის მახასიათებლებს, კერძოდ, გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალის შემცველი დანადგარების რაოდენობასა და ტიპებს, ისეთი დანადგარების მახასიათებლებს, რომლებიც უკავშირდება გარანტიებს, განსაკუთრებით შენარჩუნების ხარისხს; რამდენად აადვილებს ასეთი დანადგარების კონსტრუქციული ბირთვული მასალის ნაკადისა და ინვენტარული-რაოდენობის შემოწმებას: და რამდენად შეიძლება ურთიერთშეფარდებული იყოს მასალის ბალანსის სხვადასხვა ზონებიდან მიღებული ინფორმაცია;

დ) საერთაშორისო ურთიერთკავშირს, კერძოდ მოცულობას, რომლითაც ბირთვული მასალა მიიღება სხვა სახელმწიფოებიდან ან პიროვნება მათ გამოყენებისა თუ დამუშავებისათვის; ამასთან დაკავშირებით შემოწმების მიზნით სააგენტოს ნებისმიერ საქმიანობას: რამდენად უკავშირდება საქართველოს ბირთვული საქმიანობა სხვა სახელმწიფოთა საქმიანობას: და

ე) ტექნიკურ მიღწევებს გარანტიების სფეროში. მათ შორის ბირთვული მასალის ნაკადის შეფასებისას სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას და შემთხვევით საფუძველზე შერჩევას.

მ უ ხ ლ ი 81

საქართველო და სააგენტო მართავენ კონსულტაციებს, თუ საქართველოს მიაჩნია, რომ ინსპექციების მიზნით ძალისხმევა მეტად თავმოყრილია გარკვეულ დანადგარებზე.

მ უ ხ ლ ი 82.

შეტყობინება ინსპექციების შესახებ

დანადგარებზე ან დანადგარის გარეთ მასალის ბალანსის ზონებში ინსპექტორების მისვლამდე სააგენტო წინასწარ ატყობინებს საქართველოს,

ა) სპეციალური მიზნებით ინსპექციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება 70 მუხლის "გ" პუნქტის შესაბამისად, სულ ცოტა 24 საათით ადრე; ინსპექციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება 70 მუხლის "ა" და "ბ" პუნქტების შესაბამისად, აგრეთვე 47 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ, -სულ ცოტა ერთი კვირით ადრე.

ბ) სპეციალური ინსპექციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება 72 მუხლის შესაბამისად, რაც

შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც საქართველო და სააგენტო გამართავენ 76 მუხლით გათვალისწინებული კონსულტაციებს, ამასთან მისვლის შესახებ შეტყობინების საკითხი ჩვეულებრივ კონსულტაციების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს; და

გ) ჩვეულებრივი ინსპექციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება 71 მუხლის შესაბამისად, სულ ცოტა 24 საათით ადრე იმ დანადგარების მიმართ, რომლებიც ნახსენებია 79 მუხლის "ზ" პუნქტში, და იმ დალუქული საწყოების მიმართ, რომლებიც შეიცავს 5 პროცენტზე მეტი გამდიდრების პლუტონიუმს ან ურანს, და ერთი კვირით ადრე ყველა სხვა შემთხვევაში.

ინსპექციების შესახებ ყოველი შეტყობინება შეიცავს ინსპექტორთა გვარებს, და მასში მითითებულია დანადგარები და დანადგარების გარეთ მასალის ბალანსის ზონები, სადაც ინსპექტორები უნდა მივიდნენ, აგრეთვე ვადები, რომლებშიც უნდა მოხდეს ინსპექტორთა მისვლა, თუ ინსპექტორები საქართველოში სხვა ქვეყნიდან უნდა ჩამოვიდნენ. სააგენტო ასევე წინასწარ ატყობინებს საქართველოში ჩამოსვლის ადგილსა დროს.

მ უ ხ ლ ი 83.

82 მუხლში მოყვანილი დებულებების მიუხედავად სააგენტოს შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე დამატებით ღონისძიებად განახორციელოს 79 მუხლის შესაბამისად ჩვეულებრივი ინსპექციების ნაწილი შემთხვევით საფუძველზე შერჩევის პრინციპის თანახმად, ყოველი გამოუცხადებელი ინსპექციის განხორციელებისას სააგენტო მთლიანად ითვალისწინებს ამ ნებისმიერ საექსპლოატაციო პროგრამას, რომელიც საქართველომ წარუდგინა 63 მუხლის "ზ" პუნქტის შესაბამისად, გარდა ამისა, როცა ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, საექსპლოატაციო პროგრამის საფუძველზე იგი პერიოდულად ატყობინებს საქართველოს გამოცხადებული და გამოუცხადებელი ინსპექციების თავისი საერთო პროგრამის შესახებ. მიუთითებს რა ზოგად ვადებს, რომლებშიც გათვალისწინებულია ინსპექციების მოწყობა. ყოველი გამოუცხადებელი ინსპექციის განხორციელებისას სააგენტო ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მინიმუმამდე შეუმციროს პრაქტიკული სიძნელებები საქართველოს და დანადგარის ოპერატორებს, 43 და 88 მუხლების შესაბამის დებულებათა გათვალისწინებით. ანალოგიურად საქართველო ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ინსპექტორებს გაუადვილდეს თავიანთი ფუნქციების შესრულება.

მ უ ხ ლ ი 84.

ინსპექტორების დანიშვნა

ინსპექტორების დანიშვნისას გამოიყენება შემდეგი პროცედურები:

ა) გენერალური დირექტორი საქართველოს წერილობითი ფორმით აცნობებს გვარს, კვალიფიკაციას, მოქალაქეობას, თანამდებობას და ყველა სხვა მონაცემებს, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს, სააგენტოს ყოველი თანამდებობის პირის შესახებ, რომლებსაც იგი სთავაზობს საქართველოში ინსპექტორად;

ბ) საქართველო გენერალურ დირექტორს ასეთი წინადადების მიღებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ატყობინებს. მიიღო თუ არა საქართველომ ეს წინადადება;

გ) გენერალურ დირექტორს შეუძლია დანიშნოს საქართველოს მიერ მიღებული ნებისმიერი თანამდებობის პირი, როგორც ერთ-ერთი ინსპექტორი საქართველოში და საქართველოს აცნობებს ასეთი დანიშვნის შესახებ; და

დ) გენერალური დირექტორი, მოქმედებს რა საქართველოს თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, საქართველოს დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოში ინსპექტორად ნებისმიერი თანამდებობის პირის დანიშვნის გაუქმების შესახებ.

თუმცა 47 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობისათვის და 70 მუხლის "ა" და "ბ" პუნქტების შესაბამისად სპეციალური მიზნებით ინსპექციების განხორციელებისათვის საჭირო ინსპექტორთა მიმართ დანიშვნის პროცედურები მთავრდება მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოცდაათი დღის განმავლობაში, თუ ასეთი დანიშვნა ამ ვადის ფარგლებში შეუძლებელია ამ მიზნებისათვის

ინსპექტორები ინიშნება დროებით საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი 85.

საქართველო, როცა ეს საჭიროა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში გასცემს ან განაახლებს საქართველოში დანიშნული ყოველი ინსპექტორისათვის შესაბამის ვიზებს.

მ უ ხ ლ ი 86

ინსპექტორების ქცევა და დანადგარებთან მათი მისვლა

47 და 70-74 მუხლებით გათვალისწინებული თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ინსპექტორები საქმიანობას ეწევიან იმგვარად, რომ შეფერხებები ან დაბრკოლებები არ შექმნან დანადგარების მშენებლობის, საექსპლოატაციოდ გადაცემის ან ექსპლოატაციის დროს ან ხელი არ შეუშალონ მათ უსაფრთხოებას, კერძოდ, ინსპექტორები თავად არ მართავენ რომელიმე დანადგარს და არ ხელმძღვანელობენ დანადგარის პერსონალს რაიმე ოპერაციის განხორციელებისას. თუ ინსპექტორებს მიაჩნიათ, რომ 73 და 74 მუხლების შესაბამისად დანადგარზე გარკვეული ოპერაციები უნდა შეასრულოს ოპერატორმა, ისინი მიმართავენ ამის შესახებ თხოვნით.

მ უ ხ ლ ი 87.

თუ ინსპექციის განხორციელებასთან დაკავშირებით ინსპექტორებს სჭირდებათ მომსახურება, რომლის გაწევაც საქართველოს შეუძლია, მათ შორის მოწყობილობის გამოყენება, საქართველო უზრუნველყოფს ასეთ მომსახურებას და ინსპექტორების მიერ ასეთი მოწყობილობის გამოყენებას.

მ უ ხ ლ ი 88.

საქართველოს უფლება აქვს თავისი წარმომადგენლები გააყოლოს თანმხლებად ინსპექტორებს მათ მიერ ინსპექციის განხორციელებისას იმ პირობით, თუ ეს არ გამოიწვევს შეფერხებას და სხვაგვარად არ დააბრკოლებს ინსპექტორების მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულებას.

მ უ ხ ლ ი 89.

განცხადებები შემოწმების მიზნით სააგენტოს საქმიანობის შესახებ

სააგენტო საქართველოს ატყობინებს:

- ა) ინსპექციის შედეგებს იმ ვადებში რომლებიც მითითებული უნდა იყოს დამატებით ღირებულებაში; და
- ბ) დასკვნებს, რომლებიც მან გამოიტანა საქართველოში შემოწმების მიზნით თავისი საქმიანობის შედეგად, კერძოდ, მასალის ბალანსის ყოველი ზონის მიმართ განცხადებების მეშვეობით, რომლებიც უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება მალე მას შემდეგ, რაც სააგენტო განსაზღვრავს და შეამოწმებს მასალის ფაქტობრივად არსებულ რაოდენობას და შეაჯამებს მასალის ბალანსს.

მ უ ხ ლ ი 90

საერთაშორისო გადაცემა

ზოგადი დებულებები

ბირთვული მასალა, რომელიც ექვემდებარება გარანტიებს ან უნდა ექვემდებარებოდეს გარანტიებს მოცემული შეთანხმების შესაბამისად, და რომელიც გადაეცემა საერთაშორისო წესით, მოცემული შეთანხმების მიზნებისათვის მიჩნეულია საქართველოს პასუხისმგებლობას დაქვემდებარებულად:

- ა) საქართველოში იმპორტის შემთხვევაში - იმ მომენტიდან, როცა ასეთი პასუხისმგებლობა ეხსნება

გამგზავნის სახელმწიფოს, მაგრამ არა უგვიანეს დანიშნულების პუნქტში მასალის მიღების მომენტისა;

და
ბ) საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში - იმ მომენტამდე, როცა მიმღები სახელმწიფო კისრულობს ასეთი პასუხისმგებლობას, მაგრამ არა უგვიანეს დანიშნულების პუნქტში ბირთვული მასალის ჩატანის მომენტისა.

პასუხისმგებლობის გადაკისრების მომენტი განისაზღვრება შესაბამისი მორიგეებით, რომლებსაც უნდა მიაღწიონ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა. არც საქართველო, რაც რომელიმე სხვა სახელმწიფო არ მიიჩნევა ბირთვული მასალისათვის ასეთი პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოდ იმ ერთადერთ საფუძველზე, რომ ბირთვული მასალა ტრანზიტით გაივლის მის ტერიტორიას ან მისი ტერიტორიის თავზე, ან მისი ტრანსპორტირება ხდება მისი დროშით მონაოსნე დროშებით ან მისი თვითმფრინავებით.

მ უ ხ ლ ი 91.

გადაცემა საქართველოდან

ა) საქართველო სააგენტოს აცნობებს მოცემული შეთანხმების შესაბამისად გარანტიებს დაქვემდებარებული ბირთვული მასალის საქართველოდან ნებისმიერი სავარაუდო გადაცემის შესახებ. თუ გასაგზავნთა რაოდენობა აღემატება ერთად ეფექტიან კილოგრამს. ან თუ სამი თვის განმავლობაში ერთი და იმავე სახელმწიფოში ხდება ბირთვული მასალის რამდენჯერმე გაგზავნა, რომელთაგან თითოეული შეადგენს ერთ ეფექტიან კილოგრამზე ნაკლებს, მაგრამ მასალების ნაერთი რაოდენობა გაგზავნის ყველა შემთხვევაში ერთ ეფექტიან კილოგრამს აღემატება.

ბ) ასეთი შეტყობინება სააგენტოს ეგზავნება გადაცემის შესახებ, კონტაქტის დადების შემდეგ და ჩვეულებრივ სულ ცოტა ორი კვირით ადრე მანამ, სანამ ბირთვული მასალა გასაგზავნად მომზადდება.

გ) საქართველო და სააგენტო შეიძლება შეთანხმდნენ წინასწარი შეტყობინების სხვადასხვა პროცედურის შესახებ;

დ) შეტყობინებაში მითითებულია:

ი) გადასაცემი ბირთვული მასალის იდენტიფიკაცია და თუ, ეს შესაძლებელია სავარაუდო რაოდენობა და შემადგენლობა, აგრეთვე მასალის ბალანსის ზონა, საიდანაც იგი იგზავნება;

იი) სახელმწიფო, სადაც იგზავნება ბირთვული მასალა;

იიი) გასაგზავნად ბირთვული მასალის მომზადების თარიღი და ადგილი;

ივ) ბირთვული მასალის გაგზავნისა და ჩატანის დაახლოებით თარიღი; და მ) გადაცემის განხორციელების პროცესის ის მომენტი, როცა მიმღები სახელმწიფო კისრულობს ბირთვული მასალისათვის პასუხისმგებლობას მოცემული შეთანხმების მიზნებისათვის და ამ მომენტის დადგომის სავარაუდო თარიღი.

მ უ ხ ლ ი 92.

91 მუხლში ნახსენები შეტყობინება სააგენტოს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, თუ ეს საჭიროა, მოაწიოს სპეციალური მიზნებით ინსპექცია, რათა მოახდინოს ბირთვული მასალის იდენტიფიცირება და, თუ ეს შესაძლებელია, შეამოწმოს ბირთვული მასალის რაოდენობა და შემადგენლობა საქართველოდან მის გაგზავნამდე და, თუ სააგენტოს ეს სურს ან საქართველო ითხოვს ამას, დააუქვოს ბირთვული მასალა, როცა იგი გაგზავნისათვის მომზადდა. მაგრამ ბირთვული მასალის გაგზავნა არანაირად არ უნდა შეფერხდეს სააგენტოს მიერ ასეთი შეტყობინების შესაბამისად განხორციელებული ან დასახული რაიმე მოქმედებით.

მ უ ხ ლ ი 93

თუ ბირთვული მასალა არ ექვემდებარება სააგენტოს გარანტიებს მიმღებ სახელმწიფოში, საქართველო ახორციელებს ღონისძიებებს, რათა სააგენტომ მიმღები სახელმწიფოსაგან მიიღოს

გადაცემის შესახებ დასტური სამი თვის განმავლობაში მომენტიდან, როცა მიმღები სახელმწიფო საქართველოსაგან მიიღბს პასუხისმგებლობას ბირთვული მასალისათვის.

საქართველოსთვის გადაცემა

მ უ ხ ლ ი 94

ა) საქართველო სააგენტოს ატყობინებს საქართველოსათვის ბირთვული მასალის ყოველი სავარუდო გადაცემის შესახებ, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს გარტიებს მოცემული შეთანხმების შესაბამისად, თუ მიწოდებული რაოდენობა აღემატება ერთ ეფექტიან კილოგრამს ან თუ სამი თვის განმავლობაში ერთი და იგივე სახელმწიფოდან უნდა მოხდეს ამ მასალის პარტიების ცალკეული მიწოდება, რომელთა რაოდენობა თითოეულ შემთხვევაში ერთ ეფექტიან კილოგრამზე ნაკლებია, მაგრამ საერთო რაოდენობა გაგზავნის ყველა შემთხვევაში ერთ ეფექტიან კილოგრამს აღემატება.

ბ) სააგენტოს შეძლებისდაგვარად დროულად აცნობებენ ბირთვული მასალის სავარაუდო ჩამოტანის შესახებ და ყველა შემთხვევაში არა უგვიანეს იმ თარიღისა, როცა საქართველო იკისრებს პასუხისმგებლობას ბირთვული მასალისათვის.

გ) საქართველო და სააგენტო შეიძლება შეთანხმდნენ წინასწარი შეტყობინების სხვადასხვა პროცედურის შესახებ.

დ) შეტყობინებაში მითითებულია.

ი) ბირთვული მასალის იდენტიფიკაცია და, თუ ეს შესაძლებელია სავარაუდო რაოდენობა და შემადგენლობა:

იი) გადაცემის განხორციელების პროცესის ის მომენტი, როცა საქართველო კისრულობს ბირთვული მასალისათვის პასუხისმგებლობას მოცემული შეთანხმების მიზნებისათვის, და ამ მომენტის დადგომის სავარაუდო თარიღი და

იიი) ბირთვული მასალის მიღების სავარაუდო თარიღი, ადგილი, სადაც იგი უნდა იქნეს მიტანილი და ბირთვული მასალის გახსნის სავარაუდო თარიღი.

მ უ ხ ლ ი 95

94 მუხლში ნახსენები შეტყობინება სააგენტოს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, თუ ეს საჭიროა, განახორციელოს სპეციალური მიზნებით ინსპექცია, რათა მოახდინოს ბირთვული მასალის იდენტიფიცირება და, თუ ეს შესაძლებელია, შეამოწმოს ტვირთის გახსნის დროს ბირთვული მასალის რაოდენობა და შემადგენლობა. მაგრამ გახსნა არ უნდა შეფერხდეს სააგენტოს მიერ ასეთი შეტყობინების შესაბამისად განხორციელებული ან დასახული რაიმე მოქმედებით.

მ უ ხ ლ ი 96

სპეციალური ანგარიშები

საქართველო ადგენს სპეციალურ ანგარიშს, როგორც ეს გათვალისწინებულია 67 მუხლით, თუ რაიმე უჩვეულო ინციდენტი ან გარემოება, მათ შორის საერთაშორისო გადაცემისას მნიშველოვანი შეფერხება, საქართველოს აფიქრებინებს, რომ მოხდა ან შეიძლება მომხდარიყო ბირთვული მასალის დაკარგვა.

მ უ ხ ლ ი 97.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ნ ი

მოცემული შეთ ნხმების მიზნებისათვის:

ა. დაზუსტება ნიშნავს საადრიცხვო დოკუმენტში ან ანგარიშში ჩანაწერს, რომელიც ცხადყოფს გამგზავნისა და მიღების მონაცემებში განსხვავებას ან აღურიცხავი მასალის რაოდენობას.

ბ. წლიური მწარმოებლურობა 78 და 79 მუხლების მიზნებისათვის ნიშნავს იმ ბირთვული მასალის რაოდენობას, რომელსაც ყოველწლიურად უშვებს ნომინალური სიმძლავრით მომუშავე დანადგარი.

გ. პარტია ნიშნავს ბირთვული მასალის იმ ნაწილს, რომელიც გამოიყენება გაზომვის საკვანძო წერტილში აღრიცხვის მიზნით გაზომვის ერთდროულად და რომლის შემადგენლობა და რაოდენობა განისაზღვრება სპეციფიკაციების ან გაზომვის ერთიანი კომპლექსით. ბირთვული მასალა შეიძლება იყოს როგორც ბალკ-ფორმით, ისე მთელ რიგ ცალკეულ საგებში.

დ. პარტიის მონაცემები ნიშნავს ბირთვული მასალის თითოეული ელემენტის საერთო მასას, ხოლო პლუტონიუმისა და ურანისათვის - იზოტოპურ შემადგენლობას, როცა ეს აუცილებელია. აღრიცხვის მიზნებისათვის ერთეულები იქნება:

ა) შემადგენელი პლუტონიუმის გრამები;

ბ) ურანის საერთო რაოდენობის გრამები და შემადგენელი 235-ურანის გრამები პლუს 233-ურანი: ამ იზოტოპების მიხედვით გამდიდრებული ურანისათვის; და

გ) შემადგენელი თორიუმის, ბუნებრივი ურანის ან გადარიბებული ურანის კილოგრამები.

ანგარიშგების მიზნებისათვის პარტიაში ცალკეული საგნების მასა ჯამდება მანამ. ვიდრე მოხდება უახლოეს ერთეულამდე დამრგვალება.

ე. ბალანსის ზონის მასალის რეგისტრირებული ინვენტარული რაოდენობა ნიშნავს მასალის ბალანსის ამ ზონაში მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის ალგებრულ ჯამს ყველაზე უკანასკნელი განსაზღვრებით და მასალის ინვენტარული რაოდენობის ყველა ცვლილებას, რომლებიც მოხდა მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის ასეთი განსაზღვრის მომენტიდან.

ვ. შესწორება ნიშნავს სააღრიცხვო დოკუმენტში ან ანგარიშში ჩანაწერს, რათა გასწორდეს გამოვლენილი შეცდომა ან ასახოს იმ ბირთვული მასალის რაოდენობის გაუმჯობესებული გაზომვა, რომელიც ადრე იყო შეტანილი ამ სააღრიცხვო დოკუმენტში ან ანგარიშში ყოველი შესწორება უნდა მიუთითებდეს ჩანაწერს რომელსაც იგი ეხება.

ზ. ეფექტიანი კილოგრამი ნიშნავს ბირთვული მასალის მიმართ გარანტიების განხორციელებისას გამოყენებულ სპეციალურ ერთეულს. ბირთვული მასალის რაოდენობა ეფექტიან კილოგრამებში განისაზღვრება:

ა) პლუტონიუმისათვის - მისი მასით კილოგრამებში;

ბ) 0.01 (1%) და მეტი გამდიდრების ურანისათვის - მისი მასით კილოგრამებში გამრავლებული მისი გამდიდრების კვადრატზე;

გ) 0.01 (1%) ნაკლები და 0.005 (0.5%) მეტი გამდიდრების ურანისათვის მისი მასით კილოგრამებში, გამრავლებული 0.0001-ზე; და

დ) 0.005 (0.5%) ან ნაკლები გამდიდრების გადარიბებული ურანისათვის და თორიუმისათვის - მათი მასებით კილოგრამებში, გამრავლებული 0.00005-ზე;

თ. გამდიდრება ნიშნავს 233-ურანის და 235-ურანის იზოტოპების გაერთიანებული მასის შეფარდებას მთელი ურანის მასასთან, რომელსაც საქმე ეხება.

ი. დანადგარი ნიშნავს:

ა) რეაქტორს, კრიტიკულ დანადგარს, დამმუშავებელ ქარხანას, დამამზადებელ ქარხანას, გადამამუშავებელ ქარხანას, იზოტოპების განცალკევების ქარხნის ან ცალკეულ საწყობს: ან

ბ) ნებისმიერ სხვა ადგილს, სადაც ბირთვული მასალა ჩვეულებრივ გამოიყენება ერთ ეფექტიან კილოგრამზე მეტი ოდენობით.

კ. მასალის ინვენტარული რაოდენობის შეცვლა ნიშნავს მასალის ბალანსის ზონაში ბირთვული მასალის რაოდენობის პარტიებად გამოხატულ გადიდებას ან შემცირებას; ასეთი შეცვლა უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ შემდეგ მომენტს;

ა) გაზრდა

ი) იმპორტი

იი) შიდასახელმწიფოებრივი შენატანები: შენატანები მასალის ბალანსის სხვა ზონებიდან, გარანტიებს დაუქვემდებარებული (არასამშვიდობო) საქმიანობის სფეროდან შენატანები ან შენატანები გარანტიების გამოყენების საწყის წერტილში;

იიი) ბირთვული წარმოება: რეაქტორში სპეციალური გაყოფადი მასალის წარმოება; და

ივ) განახლება: იმ ბირთვული მასალის მიმართ გარანტიების გამოყენების განახლება, რომელიც გათავისუფლებულია გარანტიების მოქმედებისაგან მის გამოყენებასთან და რაოდენობასთან

დაკავშირებით:

ბ) შემცირება:

ი) ექსპორტი:

იი) შიდასახელმწიფოებრივი გაგზავნა: გაგზავნა მასალის ბალანსის სხვა ზონებში ან გაგზავნა გარანტიებს დაუქვემდებარებელი (არასამშვიდობო) საქმიანობისათვის:

იიი) ბირთვული დანაკარგი ბირთვული მასალის რაოდენობის შემცირება ბირთვული რეაქციების შედეგად მისი სხვა ელემენტებად ან იზოტოპებად გარდაქმნის გამო:

ივ) აუნაზარაურებელი დანაკარგის გაზომვა: ბირთვული მასალა, რომელიც გაიზომა ან განისაზღვრა გაზომვის საფუძველზე და რომელიც განკარგეს იმგვარად, რომ მისი შემდგომი ბირთვული გამოყენება შეუძლებელი ხდება:

ივ) შენარჩუნებული ნარჩენები დამუშავების პროცესში ან ექსპლოატაციის დროს ავარიის სედეგად მიღებული ბირთვული მასალა, რომელიც თუმცა მოცემულ მომენტში არაგენერირებადად ითვლება, მაგრამ ინახება:

ვი) გათავისუფლება: ბირთვული მასალის გათავისუფლება გარანტიებისაგან მის გამოყენებასთან ან რაოდენობასთან დაკავშირებით: და

ვიი) სხვა დანაკარგები: მაგალითად, ავარიული დანაკარგები (ანუ ექსპლოატაციის დროს ავარიის შედეგად ბირთვული მასალის აუნაზარაურებელი და წინასწარ განუსაზღვრელი დანაკარგები) ან დატაცება.

ლ. გაზომვის საკვანძო წერტილი ნიშნავს ადგილს, სადაც ბირთვული მასალა ისეთ ფორმაშია, რომ იგი შეიძლება გაიზომოს მასალის ნაკადის ან მასალის ინვენტარული რაოდენობის განსაზღვრისათვის გაზომვის საკვანძო წერტილებით ამგვარად შეიცავს (მაგრამ არ იფარგლება) მასალის შეტანა გამოტანის (მათ შორის აუნაზარაურებელი დანაკარგების გაზომვას) და საცავებს მასალის ბალანსის ზონებში.

ე. ინსპექციის კაც-დღე 79 მუხლის მიზნებისათვის ნიშნავს ინსპექციის 300 კაც-დღეს, ამასთან ინსპექციის კაც-დღე ნიშნავს დღეს, რომლის განმავლობაშიც ერთ ინსპექტორს ხელი მიუწვდება დანადგარზე ნებისმიერ დროს არა უმეტეს რვა საათზე ხანგრძლივი საერთო პერიოდისა.

ნ. მასალის ბალანსის ზონა ნიშნავს დანადგარში ან მის გარეთ ზონას, სადაც:

ა) ბირთვული მასალის რაოდენობა მასალის რაოდენობა ბალანსის ზონაში ან ამ ზონიდან მისი გადაადგილებისას შეიძლება განისაზღვროს: და

ბ) მასალის ბალანსის ყოველ ზონაში მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რათა დადგინდეს სააგენტოს გარანტიების მიზნებისთვის მატერიალური ბალანსი.

ო. აღურიცხავი მასალის რაოდენობა ნიშნავს მასალის რეგისტრირებულ ინვენტარულ რაოდენობასა და მასალის ფაქტობრივად არსებულ რაოდენობას შორის განსხვავებას.

პ. ბირთვული მასალა ნიშნავს ნებისმიერ საწყის ან ნებისმიერ სპეციალურად ხლეჩად მასალს, როგორც ეს განსაზღვრულია წესდების XX მუხლში. ტერმინი "საწყისი მასალა" არ განიმარტება როგორც მადნის ან მადნის ნარჩენების შემცველი. მმართველთა საბჭოს ნებისმიერი განსაზღვრება წესდების XX მუხლის შესაბამისად მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ. რომელიც შეიცავს დამატებას იმ მასალების ნუსხისადმი, რომლებიც მიჩნეულია საწყის ან სპეციალურად ხლეჩად მასალებად. ძალაში შედის მოცემული შეთანხმების შესაბამისად მხოლოდ საქართველოს მიერ მისი მიღების შემდეგ.

ჟ. მასალის ფაქტობრივად არსებული რაოდენობა ნიშნავს პარტიებად ბირთვული მასალის ყველა გაზომილი ან შეფასებული რაოდენობის ჯამს, რომელიც ფაქტობრივად არსებობს მოცემულ მომენტში მასალის ბალანსის ზონაში და მიღებულია დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

რ. გამგზავნისა და მიმღების მონაცემებში განსხვავება ნიშნავს მასალის ბალანსის გამგზავნი ზონიდან შეტყობინებული ბირთვული მასალის პარტიის რაოდენობასა და მასალის ბალანსის მიმღებ ზონაში გაზომილ რაოდენობას შორის განსხვავებას.

ს. საწყისი მონაცემები ნიშნავს მონაცემებს, რომლებიც რეგისტრირებულია გაზომვის ან დაკალიბრების ან გამოყენების დროს ემპირიული შეფარდებების გასაანგარიშებლად, რომლებიც

განსაზღვრავს ბირთვულ მასალას და მითითებულ პარტიის მონაცემებს. საწყისი მონაცემები შეიძლება შეიცავდეს მაგალითად, შენაერთების მასას _ _ _ _ _ მასის განსაზღვრისათვის კონვერსიის კოეფიციენტს. ხვედრითი წონის ელემენტის კონცენტრაციას, იზოტოპურ თანაფარდობას მანომეტრის მოცულობას და მაჩვენებლებს შორის თანაფარდობას და პლუტონიუმით წარმოებულ და გამომუშავებულ ენერგიას შორის თანაფარდობას.

ტ. საკვანძო ადგილი ნიშნავს კონსტრუქციის შესახებ ინფორმაციის შესწავლის პროცესში შესწავლილ ადგილს, სადაც ნორმალურ პირობებში და ერთად აღებულ ყველა საკვანძო ადგილას მიღებული ინფორმაციის შესაბამისად იღებენ და ამოწმებენ გარანტიების ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო და საკმარის ინფორმაციას: საკვანძო ადგილი შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ადგილს, სადაც წარმოებს მატერიალურ-საბალანსო აღრიცხვასთან დაკავშირებული საკვანძო გაზომვა და სადაც ხორციელდება შენარჩუნებისა და მეთვალყურეობის ღონისძიებანი.

შესრულებულია ორ ეგზემპლიარად ქართულ და რუსულ ენებზე, ორივე ამ ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.